



## შესაბამისობის პრინციპები

კეთილსინდისიერება, ინტერესთა კონფლიქტი, კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა, მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა, სამართლიანი საქმიანი ქცევა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, სამართლიანი შრომა

### 1. კეთილსინდისიერება

შპს „ოპტიმალ გრუპ+“- (შემდგომში საზოგადოება), როგორც Tic-Council-ის წევრი თავის საქმიანობას წარმართავს პროფესიონალურად, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად.

საზოგადოება იღებს ვალდებულებას: არ დაუშვას რაიმე სახის გადახრა მის მიერ დამტკიცებული მეთოდებისა და პროცედურებისგან. იმ შემთხვევაში, როდესაც შემოწმების მეთოდიკა ითვალისწინებს გადახრების გარკვეულ დაშვებებს, ზემოაღნიშნული დაშვებები არ იყოს გამოყენებული კვლევის ფაქტიური შედეგების შესაცვლელად.

საზოგადოება იღებს პასუხისმგებლობას კეთილსინდისიერად შეატყობინოს დამკვეთს კვლევების შედეგები და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტები, არასწორად არ შეცვალოს ისინი, გამოსცეს მხოლოდ ისეთი ანგარიშები ან/და სერტიფიკატები, რომლებშიც აისახება მხოლოდ კვლევების ნამდვილი შედეგები, პროფესიული მსჯელობები და მიღებული დასკვნები;

### 2. ინტერესთა კონფლიქტი

საზოგადოება იღებს ვალდებულებას თავი აარიდოს ინტერესთა კონფლიქტს:

- ნებისმიერ დაკავშირებულ პირთან, რომელთანაც მას აკავშირებს ფინანსური ან კომერციული ინტერესი და რომლის მიმართაც ევალება მომსახურეობის გაწევა;
- კომპანიებსა ან/და მათ დანაყოფებს შორის, რომლებიც ეწევიან სხვადასხვა სახის საქმიანობას, მაგრამ რომლებიც უწყვენ მომსახურებას ერთი და იმავე მომხმარებელს ან ერთმანეთს;

საზოგადოება უზრუნველყოფს რომ მისმა თანამშრომლებმა თავი აარიდონ საზოგადოების საქმიანობასთან ინტერესთა კონფლიქტს;

### 3. კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა

საზოგადოება იღებს ვალდებულებას დაიცვას მომხმარებლის ინფორმაციის კონფიდენციალურობა და უზრუნველყოს ასეთი ინფორმაციის დაცვის ადეკვატური ღონისძიებები;

### 4. მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა

- საზოგადოება მის საქმიანობაში კრძალავს ქრთამის შეთავაზებას ან მიღებას ნებისმიერი ფორმით, მათ შორის ხელშეკრულების ნებისმიერი ნაწილის ანაზღაურებასთან დაკავშირებით;
- საზოგადოება კრძალავს ნებისმიერი საშუალების და არხის გამოყენებას არამართლზომიერი სარგებლის ან უპირატესობის მიღებისათვის, მათ შორის მომხმარებლებისგან, შუამავლებისგან, ქვეკონტრაქტორებისგან, მომწოდებლებისგან ან/და მათი ნებისმიერი თანამშრომლისგან, საჯარო მოხელისგან;

### 5. სამართლიანი საქმიანი ქცევა

საზოგადოება იღებს ვალდებულებას წარმოაჩინოს მისი საქმიანობა, განახორციელოს მარკეტინგი, მათ შორის კონკურენტებთან ნებისმიერი შედარება ან მათზე მინიშნება მხოლოდ რეალობაზე დაყრდნობით და არ შეიყვანოს მომხმარებელი შეცდომაში;

### 6. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

საზოგადოება იღებს ვალდებულებას ჩაატაროს შესაბამისი სწავლება და პროცედურები თანამშრომლების, მომხმარებლების და მესამე პირების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დასაცავად, მონიტორინგი გაუწიოს შემთხვევებს საქმიანობის პროცესში რისკების მინიმიზების მიზნით;

### 7. სამართლიანი შრომა

საზოგადოება აცნობიერებს სოციალურ პასუხისმგებლობას მისი თანამშრომლების და მათი სამუშაო გარემოს მიმართ, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს.